

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №13

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის

შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №13

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი 100 საწოლიანი მაღალტექნოლოგიური მრავალპროფილური საავადმყოფო ქ. თბილისში, დიღმის ტერიტორიაზე;
- ერთი 100 საწოლიანი მრავალპროფილური საავადმყოფო ქ. ქუთაისში, მოწენიძის სახ. იმერეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე.

გადასაცემი ობიექტები:

- თბილისში - შპს "ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო" (სავადმყოფოს მინიჭებული აქვს ძეგლის სტატუსი)
- ქუთაისში - სს "ა. მოწენიძის სახ. იმერეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფო"
- ქუთაისში - სს "№2 სამშობიარო სახლი"
- ქუთაისში - სს "იმერეთის სამხარეო ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი"
- ქუთაისში - შპს "რეგიონალური ონკოლოგიური ცენტრი"
- ქუთაისში - შპს "იმერეთის ფილტვის პათოლოგიის და ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება"
- ქუთაისში - შპს "საქართველოს რკინიგზის მრავალპროფილური საავადმყოფო"
- ქუთაისში - შპს "ო. ჩხობაძის სახ. ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი"

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საბანკო გარანტიის წარმოდგენა მაქსიმალური თანხით ;
- საბანკო გარანტიით ერთი და იგივე თანხის წარმოდგენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროექტის დასრულების ვადას.

შერჩევაში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი 3 000 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია (მოქმედების ვადა 3 თვე), აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 14 აგვისტოს 17 სთ.-მდე.

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს დახურულ კონვერტებში. კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801, 14 აგვისტოს, 17 სთ. და 30 წთ-ზე. შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01